

ევროპის საბჭო  
ადამიანის უფლებათა ევროპული  
სასამართლო



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

მეორე სექცია

საქმე გოჩმენი თურქეთის წინააღმდეგ

(განაცხადი №72000/01)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 17 ოქტომბერი

კანონიერ ძალაში შედის

**07/01/2007-**

ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა კონვენციის 44-ე  
მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების  
თანახმად. მასში შესაძლოა, შევიდეს რედაქციული  
ხასიათის შესწორებანი.

## საქმე გონიანი თურქეთის წინააღმდეგ

1

### საქმეზე – გონიანი თურქეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ქ.პ. კოსტა – თავმჯდომარე  
ბ-ნი ა.ბ. ბაკა  
ბ-ნი რ. ტურმენი  
ბ-ნი მ. უგრეხელიძე  
ქ-ნი ე. ფურა-სანდსრომი  
ქ-ნი დ. ჯოსიენე  
ბ-ნი დ. პოპოვიჩი – მოსამართლები  
და ქ-ნი ს. დოლე, - სექციის განმწერიგებელი,

იმსჯელა განმარტოებით 2006 წლის 26 სექტემბერს და

ამავე დღეს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

### პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს თურქეთის მოქალაქე, ბ-ნი საბაჟატინ გონიანის („შემდგომში – „განმცხადებელი“) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის („შემდგომში – „კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად, 2000 წლის 24 მაისს თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№72000/01).
2. განმცხადებელი, რომელსაც დაენიშნა იურიდიული დახმარება, წარმოდგენილია მისი ინტერესების დამცველი ბ-ნი მ. აიზიტის მიერ, იგი ადვოკატია დიარბაქირში. თურქეთის მთავრობას („შემდგომში „მთავრობა“) არ დაუნიშნავს თავისი ინტერესების დამცველი სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში.
3. 2005 წლის 5 აპრილს სასამართლომ (მეორე განყოფილება) ნაწილობრივ არ დაკმაყოფილა

## საქმე გონილი თურქეთის წინააღმდეგ

2

სარჩელის არსებითად განხილვის შესახებ თხოვნა და გადაწყვიტა, კონვენციის მე-3, მე-6 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებადარღვევათა შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა მთავრობისათვის. 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სარჩელის მიღებითობა და საქმის საფუძვლიანობა ერთად განიხილებოდა.

### ფაქტობრივი მხარე

#### I. საქმესთან დაკავშირებული გარემოებები

4. განმცხადებელი დაიბადა 1966 წელს და იგი ამჟამად სასჯელს იხდის ბურსის ციხეში.

5. 1992 წლის 29 დეკემბერს, დაახლოებით 20 საათსა და 45 წუთზე, როცა იგი ა.ი.-სთან ერთად იმყოფებოდა, პოლიციამ დააკავა და სტამბოლის უშიშროების დეპარტამენტის ტერორიზმთან ბრძოლის განყოფილების წინასწარი დაკავების საქანში მოათავსა. მას ბრალად ედებოდა უკანონო ორგანიზაციის, კერძოდ კი ქლპ-ის (PKK) წევრობა.

6. 1993 წლის 2 იანვარს განმცხადებლის ბინაში, მისივე თანდასწრებით, ჩატარდა ჩხრება. ბინიდან ამოიღეს: 7,65 მმ კალიბრიანი იარაღი, ხელნაწერები, რომლებიც უკანონო ორგანიზაციის დოკუმენტებად იქნა მიჩნეული, ასევე პროპაგანდისტული შინაარსის ვიდეოკასეტები.

7. 1993 წლის 5 იანვარს გრაფოლოგიური ექსპერტიზის პასუხით დადგინდა, რომ განმცხადებლის ხელწერა ემთხვეოდა მის სახლში ნაპოვნი ზოგიერთი დოკუმენტის ნაწერს.

8. 1993 წლის 7 იანვარს უშიშროების დეპარტამენტის განყოფილებაში მიცემულ ჩვენებაში, ა. ი.-მ აღიარა და მოინანია განმცხადებელთან ერთად კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მონაწილეობა. მან თავის ჩვენებაში დააზუსტა, რომ ეს უკანასკნელი ზემოთ ხსენებული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი იყო და ამ ორგანიზაციის სახელით ფულის შეგროვების კამპანიას ეწეოდა. მან ასევე დასძინა, რომ 7,65 მმ კალიბრიანი იარაღი და პროპაგანდისტული ხასიათის ვიდეოკასეტები განმცხადებლის სახლში ინახებოდა.

9. 1993 წლის 8 იანვარს უშიშროების დეპარტამენტის განყოფილებაში მიცემულ ჩვენებაში განმცხადებელმა აღიარა PKK-ის წევრობა და კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში მონაწილეობა. კერძოდ, მან აღიარა, რომ ინახავდა იარაღს,

## საქმე გონიანი ოურჯვის წინააღმდეგ

3

აგროგებდა ფულს და ამ ორგანიზაციის სახელით ეწეოდა პროპაგანდას.

10. 1993 წლის 12 იანვარს განმცხადებელი დაკითხა სტამბოლის უშიშროების დეპარტამენტის პროკურორმა. მან ნაწილობრივ დაადასტურა ადრე უშიშროების განცოფილებაში მიცემული პირველი ჩვენება და განმარტა, რომ ვიდეოკასეტები და იარაღი მასთან სახლში მიიტანა ვინმე, მეტსახელად „გოზლუქმა“. მან ასევე განაცხადა, რომ ორგანიზაციის წევრი არ იყო, მაგრამ გარკვეული კავშირი მასთან ჰქონდა.

11. ამავე დღეს პროკურორმა დანიშნა სამედიცინო შემოწმება თხუთმეტი ეჭვმიტანილისათვის, მათ შორის განმცხადებლისათვის. სამედიცინო ექსპერტი იმავე დღეს მომზადებულ დასკვნაში მიუთითებს, რომ დათვალიერების შედეგად ეჭვმიტანილებს სხეულზე ძალადობის არავითარი კვალი არ აღენიშნებოდათ.

12. 1993 წლის 12 იანვარსვე განმცხადებელი წარდგა სახელმწიფო უშიშროების მოსამართლის წინაშე, რომელმაც მას თავისუფლების დროებით აღპევთა მიუსაჯა. მოსამართლესთან განმცხადებელმა გაიმურა იგივე ჩვენება, რაც პროკურორს მისცა.

13. 1993 წლის 13 იანვარს განმცხადებელი გასინჯა სტამბოლის ციხის ექიმმა. 1993 წლის 15 იანვარს ეიუპის სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტის თანამშრომელი ექიმის მიერ შედგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ დაზარალებული უჩიოდა მხრების, მკლავების, იდაყვებისა და მაჯების მოძრაობის შეზღუდულობასა და ტკივილებს; იგი გრძნობდა ტკივილებს აგრეთვე ზურგზე, ხერხემლის არეში ხელით გასინჯვის დროს; დასკვნაში ასევე ნახსენები იყო სისხლჩაქცევები დუნდულა კუნთების არეში, ორი დამუწუკებული, 1-დან 3 სმ-მდე, ჭრილობა, ორივე ბარძაყის დასაწყისში, 0,5-დან 2 სმ-მდე სიგანის მუქი სისხლჩაქცევები ორ ზოლად აღენიშნებოდა საჯდომის ქვედა ნაწილზე და უფრო მეტი რაოდენობის სისხლჩაქცევები – მარჯვენა მხარეს, ხოლო შედარებით უმნიშვნელო ექიმოზები მარცხენა თებოს არეში. ორივე დუნდულაზე, სისხლჩაქცევები გამკრთალებას იწყებდა. მარჯვენა მუხლისთავსა და წვივებზე დამუწუკებული ჭრილობის ზედა გარსი ზოგ ადგილას უკვე აძრობის პირას იყო; ამას გარდა, მას აწუხებდა ფეხების ტკივილი, უჩიოდა მოტორული შესაძლებლობების მკვეთრ დაქვეითებას ისე, რომ თითქმის ვედარ ამოძრავებდა მხრებს, მკლავებსა და მაჯებს. უჩიოდა, აგრეთვე, გაბრუებას, თავის სიმძიმესა და, ზოგადად, მგრძნობელობის დაკარგვას. დასკვნის მიხედვით, აღნიშნული

## საქმე გონილი თურქეთის წინააღმდეგ

4

პიროვნების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა და მას დაენიშნა თხუთმეტი დღით დასვენება (სამუშაოს შეწყვეტა).

14. 1993 წლის 25 იანვარს წარდგენილი ბრალდების აქტის საფუძველზე პროკურორმა განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრა სისიხლის სამართლის დევნა, სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლით, რომელიც გულისხმობდა უკანონო ბანდფორმირებების აკრძალვას, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის პოტენციური საფრთხისას. მან მოითხოვა, რომ განმცხადებლის მიმართ გამოყენებულიყო ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და სიცოცხლის ხელყოფისათვის, მკვლელობის ხელშეწყობისა და თანამზრახველობისთვის. აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ №3713 კანონის მუხლი 5-ს ამოქმედება.

15. 1993 წლის 19 მარტის სახელმწიფო უშიშროების პირველსავე სასამართლო მოსმენაზე განმცხადებელმა განაცხადა, რომ უდანაშაულო იყო, რომ იგი განიცდიდა ზეწოლასა და მისდამი უხეშ მოპყრობას წინასწარი დაკავების საკანში და რომ პოლიციელებმა ზეწოლის შედეგად მოაწერინეს ხელი პირველ ჩვენებებზე. უხეში მოპყრობის დასასაბუთებლად მან მოიშველია 1993 წლის 15 იანვრის სამედიცინო დასკვნა. მან ასევე განაცხადა, რომ წინასწარი პატიმრობის პერიოდში არასოდეს უსარგებლია აღვოკატის მომსახურებით. ამასთან, აღიარა პროკურორისა და უშიშროების სასამართლოს მოსამართლის წინაშე მიცემულ ჩვენებებში მოყვანილი ფაქტები.

16. 1993 წლის 26 აპრილს სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ახალი შემადგენლობით მოიხმინა განმცხადებლის განმარტებები, რომელთა დროსაც მან განაცხადა, რომ ჩხრეკისას ამოღებული იარაღი მას არ ეკუთვნოდა და რომ მან ისიც კი არ იცოდა, ისროდა თუ არა იგი. მისი განცხადებით, ეს იარაღი მასთან სახლში მიიტანა ა.ი.-მ და სასამართლოს სთხოვა მისი დაკითხვა. 1993 წლის 5 იანვრის გრაფოლოგიური ექსპერტის დასკვნის შესახებ კითხვაზე განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას წინასწარი დაკავების საკანში იძულებით დააწერინეს რადაც დოკუმენტები. მან ასევე მოითხოვა სასამართლოზე იმ პირთა დაკითხვა, ვინც შეადგინა მისი დაკავებისა და ბინის ჩხრეკის ოქმები.

17. 1993 წლის 9 ივნისის სხდომაზე განმცხადებლის დამცველმა განმეორებითი თხოვნით მიმართა სასამართლოს, დაკითხულიყო ა.ი. სასამართლომ გადაწყვიტა, იგი დაეკითხა სასამართლოს მიერ სპეციალურად ამ მიზნით

## საქმე გონიანი ოურჯვის წინააღმდეგ

5

უფლებადელეგირებულ საგამოძიებო კომისიას, გინაიდან გასამართლებული იყო დიარბაქირში.

მან ასევე მოითხოვა, საქმეს დართვოდა ყველა ის ნივთმტკიცება, რომელიც ჩერეპის დროს განმცხადებლის ბინაში იქნა აღმოჩენილი.

18. 1993 წლის 21 ივლისის სასამართლო მოსმენაზე სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ, რომელსაც ახალი მოსამართლე თავმჯდომარეობდა, დაადგინა, რომ დიარბაქირის სახელმწიფო უშიშროების სასამართლოდან არ იყო მიღებული სპეციალური საგამოძიებო კომისიის მიერ ა.ი.-ს დაკითხვის პასუხი. სასამართლომ მოისმინა ერთი პოლიციელის ჩვენება, რომელმაც განაცხადა, რომ ესწრებოდა ოანაბრალდებულების ბინის ჩერეპას, რაც განმცხადებლისა და ა.ი.-ს ჩვენებების შემდეგ ჩატარდა. სასამართლომ კიდევ ერთხელ დაავალა განმცხადებლის ბინიდან ამოღებული ვიდეოკასეტების საქმეში ჩართვა და ამ უკანასკნელს კი პატიმრობის ვადა გაუგრძელა ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ნივთმტკიცებათა არსებული მდგომარეობის მოტივით.

19. 1993 წლის 8 სექტემბერს სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ჩატარა სასამართლო მოსმენა, რომლის დროსაც დადასტურდა ვიდეოკასეტების საქმეში არსებობა. სასამართლომ გადაწყვიტა, სპეციალური საგამოძიებო კომისიის მიერ ა.ი.-ს დაკითხვის პასუხს დალოდებოდა და ჩათვალა, რომ, უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესზე მოწმის უშუალო დასწრება არ იყო სავალდებულო.

1993 წლის 1 ნოემბერს სახელმწიფო უშიშროების სასამართლო ახალი მოსამართლის თავმჯდომარეობით შედგა. ამ მოსმენაზე განმცხადებელმა სასამართლოს უურადდება მიაპყრობინა მთავარი მოწმის, ა.ი.-ს დაკითხვის მნიშვნელობაზე. სასამართლომ ასევე მოისმინა განმცხადებლის თხოვნა, დამატებითი ინფორმაცია მიეცათ მისთვის ა.ი.-ს განთავისუფლების პირობების შესახებ, რადგან იგი, შსს-ს ბრძანებით, დიარბაქირის ციხიდან ბიტლისის უშიშროების განყოფილების იზოლატორში უნდა გადაეყვანათ.

21. 1993 წლის 24 დეკემბრისა და 1994 წლის 25 თებერვლის პროცესზე სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ, რომელიც ყოველ პროცესზე ახალი შემადგენლობით იკრიბებოდა, ცნობად მიიღო ა.ი.-ს განთავისუფლება და ხელახლა წაიკითხა სპეციალური საგამოძიებო კომისიისადმი მიცემული ჩვენება. განმცხადებელმა უარყო ა.ი.-ს ჩვენებაში გაკეთებული განცხადება, თითქოს იგი (განმცხადებელი)

## საქმე გონიული თურქეთის წინააღმდეგ

6

დანაშაულებრივი ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს წევრი იყო.

22. 1994 წლის 18 აპრილის სასამართლო პროცესზე სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ მოისმინა ერთ-ერთი იმ პოლიციელის ჩვენება, რომელიც განმცხადებლის ბინის ჩხერეკაში მონაწილეობდა. მან დაადასტურა ვიდეოკასეტებისა და იარაღის ამოდების ფაქტი. ამას გარდა, სასამართლომ უარი თქვა მოსარჩელის დაცვის მხარის თხოვნაზე, განმეორებით დაენიშნათ გრაფოლოგიური ექსპერტიზა. მან ასევე უარი თქვა მოსარჩელისა და ა.ი.-ს პირისპირ დაკითხვაზე და განმცხადებელს დროებითი პატიმრობის ვადა გაუგრძელა ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ნივთმტკიცებათა არსებული მდგომარეობის მოტივით.

23. 1994 წლის 13 ივნისს, 22 ივლისს, 26 აგვისტოსა და 19 ოქტომბერს სასამართლომ განმცხადებლის დაუსწრებლად ჩაატარა ოთხი მოსმენა, რომელთა დროსაც მოისმინა ერთ-ერთი პოლიციელის ჩვენება, რომელიც განმცხადებლის დაკავებაში მონაწილეობდა; აღნიშნული პროცესები ორჯერ სხვადასხვა შემადგენლობით ჩატარდა და სასამართლომ მოითხოვა დადგენილიყო ერთ-ერთი თანაბრალდებულის, მ.ა.-ს, ზუსტი მისამართი.

24. 1994 წლის 26 ნოემბრის სასამართლო პროცესზე განმცხადებელმა უარყო ყოველგვარი კავშირი დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან და განაცხადა, რომ დაკავების მომენტში იყო იყო სტუდენტი, ჰყავდა ოჯახი და ეწეოდა კანონიერ საქმიანობას, საიდანაც შემოსავლები საფინანსო ორგანოებთან იყო დეკლარირებული. მისი განცხადებით, იყო დააკავეს ერთ-ერთი ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, რომელშიც ეს უკანასკნელი ჩადენილს ინანიებდა.

25. 1995 წლის 23 იანვრისა და 15 დეკემბრის სასამართლო სხდომებზე სასამართლოს კოლეგია კვლავ სხვადასხვა შემადგენლობით შეიკრიბა და ამჯერადაც დაადგინეს, რომ სპეციალური საგამოძიებო კომისიის მიერ მ.ა.-ს დაკითხვის ოქმი კიდევ არ იყო მოსული სასამართლომდე. ამ დროს განმცხადებლის დაცვის მხარემ საყვედური გამოთქვა მოწმეთა გამოუცხადებლობით სასამართლო პროცესის გაჭიანურების გამო და კიდევ ერთხელ მოითხოვა გრაფოლოგიური ექსპერტიზის განმეორებით დანიშვნა.

26. 1995 წლის 30 ოქტომბერს პროკურორმა წარმოადგინა საბრალდებო დასკვნა. მან განმცხადებლის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის გამოყენება მოითხოვა. შემდეგ სხდომაზე, 1995 წლის 15 დეკემბერს, განმცხადებელს მიეცა დამატებითი დრო დაცვის უკეთ მომზადებისათვის,

## საქმე გონილი თურქეთის წინააღმდეგ

7

ხოლო მისი თხოვნა განმეორებით გრაფოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე კვლავაც უარყოფილი იქნა.

27. 1996 წლის 14 თებერვლის, 15 აპრილისა და 19 ივნისის სასამართლო პროცესებზე განმცხადებმა განაცხადა, რომ საქმესთან დაკავშირებით დაცვის არგუმენტებს სასამართლოს წარუდგენდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ა.ი. თავის არგუმენტებს წარადგენდა. ამ მოლოდინის დასასაბუთებლად განმცხადებელმა განაცხადა, რომ არ არსებობდა არანაირი სამხილი და ნივთმტკიცება, გარდა იმათი, რომლებიც ა.ი.-ს ჩვენებებში იყო მითითებული.

28. 1996 წლის 12 აგვისტოს სასამართლო პროცესზე განმცხადებელმა განაცხადა, რომ, ვინაიდან იყო სტუდენტი, იმჟამინდელი მდგომარეობა მას ძალიან აზარალებდა და მოითხოვა, დროებით გაეთავისუფლებინათ, რაც უარყოფილი იქნა.

29. 1996 წლის 1 ოქტომბრიდან 1997 წლის 14 ნოემბრამდე სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ გამართა ცხრა პროცესი, მათაგან ექვსი – მოსამართლეთა სრულიად განსხვავებული შემადგენლობით. ამ პროცესებზე სასამართლომ უკმაყოფილება გამოთქვა ა.ი.-ს მხრიდან დაცვის არგუმენტების მიუწოდებლობის გამო და განჩინებით გადაწყვიტა მისი დაუსწრებლად დაპატიმრება.

30. 1997 წლის 17 სექტემბერსა და 14 ნოემბერს სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ გამართა ორი პროცესი, რომელთა დროს მან გადაწყვიტა, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე დაეკავშირებინა ერთ-ერთი სხვა თანაბრალდებულის საქმესთან.

31. 1997 წლის 26 დეკემბრის სასამართლო მოსმენაზე განმცხადებლის ადვოკატმა განაცხადა, რომ გამოძიების პროცესში წაყენებული ბრალდება და საქმეში დართული ნივთმტკიცებები არ შეიძლებოდა კვალიფიცირებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით. მისი აზრით, ეს კონკრეტული საქმე უფრო განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლის კომპეტენციას.

32. 1998 წლის 4 მარტიდან 6 ნოემბრამდე პერიოდში სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ხუთი პროცესი გამართა, მათგან ორი – განმცხადებლის დაუსწრებლად. ამ პერიოდის განმავლობაში სასამართლო ოთხჯერ სხვადასხვა შემადგენლობით განიხილავდა საქმეს და მას დაემატა ერთ-ერთი თანაბრალდებულის ჩვენებები.

33. 1999 წლის 29 იანვრის პროცესზე აღნიშნული საქმით დაკავებულმა პროკურორმა ბრალდების ნაწილი წაიკითხა. მან ისევ მოითხოვა, რომ განმცხადებლის მიმართ გამოყენებულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის 1, 31, 33, 40

## საქმე გონილი თურქეთის წინააღმდეგ

8

ნაწილებითა და №3713 კანონის მე-5 მუხლით  
გათვალისწინებული სასჯელი.

34. იმავე დღეს განმცხადებლის ადვოკატმა მოითხოვა  
დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა სისხლის სამართლის  
კოდექსის 168-ე, მეორე ნაწილისა და 169-ე მუხლების მიხედვით.  
რადგან 168-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული  
დანაშაულის დამადასტურებელი ელემენტები ვერ იქნა  
მოპოვებული.

35. 1999 წლის 29 იანვარს პროკურორმა ახალი ბრალდება  
წარმოადგინა, რომლის გამოც მან მოითხოვა  
განმცხადებლისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე  
მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის  
შეფარდება.

36. 1999 წლის 22 თებერვალს განმცხადებელმა განაცხადა,  
რომ უდანაშაულო იყო. მან ასევე განაცხადა, რომ წინასწარი  
დაკავების იზოლაციურში აწამებდნენ, მაშინ, როცა იგი  
უშიშროების პასუხისმგებელ პირთა ხელში იყო და უარყო  
პოლიციელთათვის მიცემული ყველა ჩვენება. უფრო მეტიც, მან  
განაცხადა, რომ მომნანიებელ ა.ი.-ს ჩვენებაში მოყვანილი  
ელემენტები სანდო ინფორმაციად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან  
იგი ცდილობდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რათა  
პასუხისმგებლობდან თავი დაეხსნა, ამიტომაც ყველაფერი  
სხვებს გადააბრალა. ამას გარდა, მან სასამართლოს თხოვნით  
მიმართა, ყურადღება მიექცია, რომ 1993 წლის 8 იანვარს,  
წინასწარი დაკავების საკანში ყოფნისას, იგი აიძულეს, ხელი  
მოეწერა ჩვენებისათვის, რომლის რვა გვერდიდან ოთხი  
აბსოლუტურად იდენტური იყო 1993 წლის 7 იანვარს მიცემული  
ა. ი.ს ჩვენებისა. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ მისი  
თხოვნა პირისპირ დაკითხვაზე არ ყოფილა დაკმაყოფილებული.  
ამგვარად, გააპროტესტა მის მიმართ 168-ე მუხლის გამოყენება  
და მოითხოვა დროებით მისი პატიმრობიდან განთავისუფლება.

37. 1999 წლის 9 აპრილის პროცესზე სახელმწიფო  
უშიშროების სასამართლომ, რომლის შემადგენლობაში  
შედიოდა ერთი სამხედრო მოსამართლე, მოისმინა  
განმცხადებლის დაცვის არგუმენტები. სასამართლომ უარი  
თქვა განმცხადებლის თხოვნაზე პატიმრობიდან დროებით  
განთავისუფლების შესახებ, მისდამი წაყენებული ბრალის  
სიმძიმისა და მტკიცებულებათა მდგომარეობის  
გათვალისწინებით.

38. 1999 წლის 14 ივნისის პროცესზე სახელმწიფო  
უშიშროების სასამართლომ, რომლის შემადგენლობაში  
უკანასკნელად შედიოდა ერთი სამხედრო მოსამართლე,  
მოისმინა განმცხადებლის ბოლო ჩვენები და უარი თქვა მის

## საქმე გონიმანი ოურჯვის წინააღმდეგ

9

თხოვნაზე პატიმრობიდან დროებით განთავისუფლების შესახებ, მისდამი წაყენებული ბრალის სიმძიმისა და მტკიცებულებათა მდგომარეობის გათვალისწინებით.

39. 1999 წლის 27 აგვისტოს სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ სამი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიო მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ.

40. 1999 წლის 20 ოქტომბრის პროცესზე სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ სამი სამოქალაქო მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიო განმცხადებელი დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო მოუხსნა მკვლელობის ბრალდება და მას სასჯელის სახით შეუფარდა თვრამეტი წლითა და ცხრა თვით თვითსუფლების აღკვეთა.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო დარწმუნდა, რომ თანაბრალდებულთა მიერ მიცემული ჩვენებები განმცხადებლის ჩვენებათა თანმხვედრი იყო. ამასთან ერთად, აღნიშნულ ჩვენებებზე, ექსპერტის დასკვნებზე, ჩხრეკის ოქმებზე, მისი ბინიდან ამოღებულ იარაღსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით სასამართლომ განმცხადებლის დანაშაული დადგენილად მიიჩნია.

ამასთან ერთად, სასამართლომ გაითვალისწინა განმცხადებლის მიერ წინასწარი დაკავებისას მიცემული აღიარებითი ჩვენება, მით უფრო, რომ თანაბრალდებულების: ნ.გ.-ს, პ.ტ.-სა და, განსაკუთრებით, ა.ი.-ს ჩვენებებით მასში მოყვანილი ფაქტები დასტურდებოდა.

41. 2000 წლის 28 ნოემბერს საკასაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 1999 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

## II. შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

42. დანაშაულის ჩადენის პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე და 153-ე მუხლების მიხედვით, შესაძლებელი იყო, ამ სხვადასხვა სამართალდარღვევის გამო საჩივრით მიემართათ პროცესურორის ან ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოსათვის. პროცესურორი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით შეიტყობდა ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ, გალდებული იყო, ფაქტის ირგვლივ ეწარმოებინა მოკვლევა და

## საქმე გონილის თურქეთის წინააღმდეგ

10

მიეღო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის დეკნის აღმგრის შესახებ (153-ე მუხლი). საჩივარი შეიძლებოდა ყოფილიყო წერილობითი ან ზეპირი. მომჩივანს შეეძლო, გაესაჩივრებინა პროკურორის გადაწყვეტილება დეკნის არადმგრის შესახებ.

43. სისხლის სამართლის თურქული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, დაკითხვა ეჭვმიტანილისათვის არის დაცვის საშუალება, რომლითაც მან უნდა ისარგებლოს და არა ვალდებულება, აღიარებითი ჩვენება მისცეს. თუ ჩვენებაში გაცხადებული ფაქტები გამოიიების პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აუცილებელია, მათი ნებაყოფლობით მოპოვება დაკითხვის დროს, ანუ, აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ჩვენებას, რომელიც ზეწოლითა და ძალის გამოყენებით იქნება მოპოვებული, არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ ექნება. სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლის თანახმად, ისე, როგორც მას საკასაციო სასამართლო განმარტავს: დაკითხვის ოქმს, რომელიც შეიცავს პოლიციაში ან პროკურატურაში მიცემულ აღიარებით ჩვენებას, მამხილებული დოკუმენტის ძალა რომ ჰქონდეს, აუცილებელია, იგივე აღიარება დადასტურებულ იქნეს მოსამართლის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი დაკითხვის ოქმის წაკითხვა სასამართლო პროცესზე დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მსჯავრი აღნიშნულ ოქმში მოყვანილი არგუმენტებით იყოს მოტივირებული (კოლუ თურქეთის წინააღმდეგ, №35811/97, § 44, 2005 წლის 2 აგვისტო).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის „ა“ აბზაცი ასევე კრძალავდა აღიარების იძულების მიზნით წამებასა და ყოველგვარ უხეშ მოპყრობას.

## სამართლებრივი მხარე

### I. სარჩელის მიღებითობის შესახებ

44. მთავრობა მიუთითებს სარჩელის არმიღებითობაზე, რადგან, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი გზები არ ყოფილა ამოწურული, ხოლო მეორე მხრივ, არ ყოფილა დაცული ექვსთვიანი ვადა.

45. უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს პრაქტიკაზე (კარდო საფრანგეთის წინააღმდეგ, 1991 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება) დაყრდნობით, მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებელს არ ამოუწურავს მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი გზები, რადგან მას არცერთ ეტაპზე არ მიუთითებია სასამართლოს მიუკერძოებლობისა და

დამოუკიდებლობის ნაკლებობაზე, არც სამართალწარმოების ვადებზე იმ ინსტანციების მიმართ, რომლებმაც აღნიშნული საქმე განიხილეს.

46. რაც შეეხება კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებადარღვევებს, მთავრობა მიიჩნევს, რომ განმცხადებელს სარჩელით უნდა მიემართა წინასწარი პატიმრობის ვადის ამოწურვიდან 6 თვის ვადაში, ანუ 1993 წლის 12 იანვრიდან 6 თვის განმავლობაში, ვინაიდან იგი უჩიოდა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე გასაჩივრების შეუძლებლობას.

47. სამართალწარმოების პროცედურის თაობაზე სასამართლო აღნიშნავს: პრაქტიკაში უკვე ჰქონია შესაძლებლობა, დაედგინა, რომ თურქეთის მართლმსაჯულების სისტემა განსასჯელს არ სთავაზობს გასაჩივრების ეფექტურ საშუალებას, როგორც ამას კონვენციის მე-13 მუხლი გულისხმობს პროცედურის ხანგრძლივობაზე საჩივართან დაკავშირებით (ტენდიქი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, №23188/02, § 36, 2005 წლის 22 დეკემბერი). აქედან გამომდინარე, არ დგინდება, რომ განმცხადებელს ჰქონდა სასამართლო ინსტანციისადმი მიმართვის კიდევ სხვა გზა, რომელიც მისი უფლებადარღვევის შესახებ საჩივარს განიხილავდა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ წარმოდგენილი გამონაკლისი არ იქნა მიღებული.

48. რაც შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის ნაკლებობას, სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიის ერთ-ერთ წევრად სამხედრო მოსამართლის ყოფნა ეფუძნებოდა იმდროინდელ საკონსტიტუციო დებულებას. ასე რომ, ეს გამონაკლისი ვერ იქნა მიღებული.

49. ექვსთვიანი ვადის დაუცველობის შესახებ სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ განმცხადებელს ოფიციალური სარჩელი არ შეუტანია მისი წინასწარი დაკავებისათვის პასუხისმგებელ პოლიციელთა წინააღმდეგ, უხეში მოპყრობის ბრალდებით, სამაგიუროდ, მან მრავალგზის მიუთითა ამ უფლებადარღვევის შესახებ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბრალდება სამედიცინო შემოწმების დასკვნებს ეყრდნობოდა, მან ვერ მიიპყრო ეროვნული სასამართლოების ყურადღება. აქედან გამომდინარე, სასამართლო მხედველობაში იდებს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც გარემოებას, რომელიც

განმცხადებელს უბიძგებდა, უფიქრა, რომ  
მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი გზები  
ამიერიდან უშედეგო იყო მისი უფლებადარღვევის  
განსახილველად (იხ.: ო.ო. და ს.გ. თურქეთის წინააღმდეგ, №31865/96, 2002 წლის 28 მაისი და ონდერი თურქეთის  
წინააღმდეგ № 39813/98, 2003 წლის 1 აპრილი,  
საწინააღმდეგო, კაბასაკალი და აგარი თურქეთის  
წინააღმდეგ, №70084/01, 2003 წლის 1 ივნისი). იქიდან  
გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლომ  
გადაწყვეტილება მიიღო 2000 წლის 28 ნოემბერს,  
განმცხადებლის მიერ სარჩელის 2001 წლის 24 მაისს  
შეტანით ნამდვილად იქნა კონვენციის 35-ე მუხლის პირველი  
ნაწილით გათვალისწინებული ექსტვიანი გადა დაცული.  
50. სასამართლო დარწმუნდა, რომ კონვენციის მე-3, მე-6 და  
მე-13 მუხლებიდან გამომდინარე, უფლებადარღვევათა  
შესახებ ჩივილი არ არის უსაფუძვლო 35-ე მუხლის პირველი  
ნაწილის მიხედვით და არსებითად უნდა იქნეს განხილული.  
სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ  
უფლებადარღვევებზე ჩივილი სხვა არანაირი მოტივით არ  
შეძლება მიუღებლად ჩაითვალოს.

## II. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ

51. განმცხადებელი უჩივის კონვენციის მე-3 მუხლის  
დარღვევას, რომელიც აცხადებს შემდეგს:

„არავინ შეიძლება დაგენერაციას წამებას, არაადამიანურ და  
დირსების შემლახელ მოპყრობას ან დასჯას.“

52. მთავრობა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. კერძოდ, მას  
მიაჩნია, რომ, კინაიდან 1992 წლის 12 იანვრის სამედიცინო  
შემოწმების დასკვნა განმცხადებლის სხეულზე არავითარი  
ძალადობის კვალზე არ მიუთითებდა, ნიშნავს, რომ მის მიმართ  
არავითარი ძალადობა არ ყოფილა წინასწარი დაკავებისას.

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ პირი დაშავდება  
წინასწარი დაკავების ადგილას, მაშინ, როცა იგი მთლიანად  
პოლიციელთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, სხეულის  
ნებისმიერი სახის დაზიანების ფაქტი სერიოზულ ეჭვს ბადებს  
(იხ. საღმანი თურქეთის წინააღმდეგ №21986/93, § 100, CEDH  
2000-VII). ასე რომ, მთავრობა ვალდებულია, წარმოადგინოს  
დამაჯერებელი არგუმენტები სხეულის დაზიანების მიზეზების  
შესახებ, ასევე, საბუთები, რომლებიც განმცხადებლის მიერ  
მითითებულ უფლებადარღვევებთან დაკავშირებულ ეჭვებს

## საქმე გონილების თურქეთის წინააღმდეგ

13

გააბათილებს, მაგალითად, არგუმენტები, რომლებიც დასაბუთებული იქნება სამედიცინო შემოწმების დასკვნით (იხ. სხვა საქმეებთან ერთად: სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ, № 25803/94, § 87, CEDH 1999-V და აღტაი თურქეთის წინააღმდეგ, № 22279/93, § 50, 22. 2001 წლის მაისი).

54. ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, განმცხადებელს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა ჯერ კიდევ წინასწარი დაკავების საკანზი 1993 წლის 12 იანვარს. ამ შემოწმებამ ვერ დაადგინა მის სხეულზე ძალადობის რაიმე კვალის არსებობა. თუმცა 13 იანვარს, დროებითი დაკავების ადგილას მისი გადაყვანისას, ციხის ექიმის მიერ შედგენილი ანგარიშის მიხედვით, განმცხადებელს სხეულზე აღენიშნებოდა მრავალი დაზიანება: სხეულის სხვადასხვა ნაწილის, კიდურების მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა და სისხლჩაქცევები. სწორედ სხეულის აღნიშნულ დაზიანებებზე დაყრდნობით, ექიმმა დაასკვნა, რომ მას 15 დღით მუშაობა უნდა შეეწყიტა.

55. საქმეში წარმოდგენილი არავითარი ელემენტი არ მიუთითებს იმ სავარაუდო შესაძლებლობაზე, რომ განმცხადებელს ეს დაზიანებები მიედო ან დაკავების პროცესში, ან სხვა რაიმე უწინდევლი მოქმედებებით. ამას გარდა, არც ისაა დასკვნაში ნათქვამი, რომ ეს დაზიანებები შეიძლებოდა, განმცხადებლის დაკავებამდე პერიოდის ყოფილიყო.

56. რაც შეეხება იმას, სხეულის დაზიანების ფაქტები ხომ არ ყოფილა განმცხადებლის პოლიციის თანამშრომელთა კონტროლის ქვეშ ყოფნის განმავლობაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ 12 იანვრის სამედიცინო შემოწმების დასკვნა არ არის სანდო, რადგან ეს არის ძალიან მოკლე ცნობა თხუთმეტ ეჭვმიტანილზე, ყოველგვარი დაზუსტებების გარეშე თითოეული მათვანის შესახებ. გარდა ამისა, სასამართლოს არალოგიკურად მიაჩნია, რომ მრავალი ჭრილობა, რომლებიც უკვე სქელი დამუწუკებული ქერქით იყო დაფარული, წინასწარი დაკავების გადის ამოწურვიდან ასე მოკლე პერიოდში გაჩენილიყო.

57. აქედან გამომდინარე, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და მისთვის წარმოდგენილი ელემენტის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ 1993 წლის 15 იანვარს შედგენილ სამედიცინო დასკვნაში მოყვანილი სხეულის დაზიანებები მიღებულია იმგარი მოპყრობის გამო, რომელზეც მთავრობაა პასუხისმგებელი.

აქედან გამომდინარე, დაირდვა კონვენციის მე-3 მუხლი.

### III. კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევის შესახებ

58. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მთავრობამ არ მიიღო ეფექტური ზომები მის მიმართ გამოყენებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტების მითითების შემდეგ. იგი იშველიებს კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად განმარტავს :

„ეფელას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა პქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირბა, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ახრულებდა.“

59. მისთვის განსახილველად წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელია განმცხადებლის მიერ მითითებული მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებადარღვევაზე (ზემოთხსენებული პარაგრაფი 57). განმცხადებლის ამ უფლებას იცავს კონვენციის მე-13 მუხლი. ხელისუფლებას უნდა აღეძრა საქმე და ეფექტიანად გამოემიებინა, როგორც ამას აღნიშნული მუხლის პირობა მოითხოვს (ბაზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, №33097/96 და №57834/00, გვ. 133-137, აუგს/CEDH 2004-IV).

60. ამ კონკრეტული საქმიდან სასამართლო არ კვევს, რომ განმცხადებელმა მრავალგზის აცნობა ხელისუფლებას, თუ როგორ არაადამიანურად ეპყრობოდნენ მას მიმდინარე ძიების განმავლობაში, რაც კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული იყო, და ამ ჩივილის დასასაბუთებლად იშველიებდა 1993 წლის 15 იანვრის სამედიცინო შემოწმების დასკვნას. მიუხედავად ამისა, ეს არ ყოფილა გათვალისწინებული, მაშინ, როცა, თურქელი სამართლის მიხედვით, პროკურორს, რომელიც მსგავსი ფაქტის შესახებ შეიტყობდა, დაუყოვნებლივ უნდა მოეხდინა რეაგირება (ზემოთხსენებული პარაგრაფი 42). გარდა ამისა, სასამართლო შეასხენებს: „სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების“ ცნება გულისხმობს, რომ, მაშინაც კი, როცა საჩივარიც არ არის აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალურად შემოსული, თუკი საკმარისი ინფორმაცია არსებობს, ვიფიქროთ, რომ იყო წამება ან არაადამიანური მოპყრობა, ეს ასევე საკმარისი საფუძველია სისხლის სამართლის დევნის ადგვრისათვის (იხ. ზემოთ ხსენებული საქმე ბაზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ).

61. ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით არავითარი მოკვლევა არ ჩატარებულა, სასამართლო საქმარისად მიიჩნევს, დაასკვნას, რომ განმცხადებელს არ უსარგებლია სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლებით, როგორც ამას კონკრეტის მე-13 მუხლი ითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე, დაირღვა ეს დებულება.

#### IV. კონკრეტის მე-6 მუხლის დარღვევის შესახებ

62. განმცხადებელი აცხადებს, რომ მან სისხლის სასამართლის დევნის განმავლობაში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე მრავალჯერ მიიღო უარი, რითაც ხელყოფილ იქნა მისი დაცვის უფლება.

მისი თქმით, სახელმწიფო უშიშროების სასამართლო არ არის „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო“, რადგან მისი საქმის განხილვაში ნაწილობრივ მონაწილეობდა სამხედრო მოსამართლე. სარჩელში ის ასევე აცხადებს, რომ სასამართლომ ვერ უზრუნველყო მისი საქმის გონივრულ ვადაში განხილვა.

იგი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლების მიერ წინასწარი დაკავების პერიოდში ზეწოლით მოპოვებული ჩვენებების მხედველობაში მიღებით დაირღვა არა მარტო მისი უფლება – საქმე განხილა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს, არამედ დაირღვა, აგრეთვე, მისი უდანაშაულობის პრეზუმაცია.

იგი მიუთითებს კონკრეტის მე-6 მუხლის, ნაწილი 1, 2 და მესამე ნაწილის B, C და D ქვეპუნქტებზე, რომელთა შესაბამისი ნაწილი ასეა ჩამოყალიბებული:

„1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განხაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქმეუნ განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

2. ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

(...)

ბ. პქონდეს ხაკმარისი დრო და შესაძლებლობანი ხაკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ. დაიცვას თავისი თავი პირადად, ან მის მიერ არჩეული დამცემის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია ხაკმარის საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში.“

## ა. სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

63. მთავრობა აცხადებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი არ დარღვეულა.

64. სასამართლო აღნიშნავს, საქმეში – ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ №46221/99, ს 116-118, CEDH-2005წ...). მან (სასამართლო) მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო პირი წარდგა იმ სასამართლო კოლეგიის წინაშე, რომლის თუნდაც მხოლოდ ნაწილობრივი შედგენლობა იყო სამხედრო ჩინის მქონე მსგავსი სიტუაცია სერიოზულ ზიანს აუნებს სასამართლოსადმი ნდობას, რომლისკენაც ყველა დემოკრატიული საზოგადოების მართლმსაჯულება უნდა ისწრაფოდეს.

შემდეგ სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მართლმსაჯულება, რომლის მიმართაც გამოთქმულია პრეტენზია – დამოუკიდებელი იყოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან სამივე ეტაპზე, კერძოდ: გამოძიების, სასამართლო პროცესისა და განაჩენის გამოტანის დროს და ასკვის, რომ, როცა სამხედრო მოსამართლე მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე საპროცესო აქტის შედგნასა თუ მიღებაში, რომელიც შემდგომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს ძალაში რჩება და მხედველობაშია მიღებული, ბრალდებულს, ბუნებრივია, უნდება ეჭვი მთლიანად სამართალწარმოების კანონიერების მიმართ, თუკი შემდგომ სასამართლოში საქმის განხილვის პროცესმა თავად არ გაფანტა ეს ეჭვები.

უფრო ზუსტად კი, ის ფაქტი, რომ სამხედრო მოსამართლემ მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო პირის მიმართ აღძრული საქმის სასამართლო განხილვასა და ამ ინსტანციის მიერ

## საქმე გონიანი ოურჯვის წინააღმდეგ

17

მიღებულ რაიმე სამართლებრივ აქტში, მთლიანად სასამართლო პროცედურის შესახებ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე არ განხილულა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

65. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ 1993 წლის 25 იანვარს განმცხადებლის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იხილავდა სახელმწიფო უშიშროების სასამართლო ორი სამოქალაქო და ერთიც სამხედრო მოსამართლის შემადგენლობით, ამ უკანასკნელის შეცვლამდე, ანუ 1999 წლის 27 აგვისტომდე. სისხლის სამართლის დევნიდან დაახლოებით ექვსი წლისა და შვიდი თვის განმავლობაში რამდენიმე სასამართლო მოსმენა მიეძღვნა საქმის არსებითად განხილვას, მათ შორის: სასამართლო სხდომის დროს დაიკითხენ მოწმეები, განმცხადებელმა გააკეთა მთელი რიგი განცხადებებისა და შუამდგომლობებისა, მიღებულ იქნა მრავალი პროცედურული აქტი. ეს აქტები მომავალში არ შეცვლილა, ისე მოხდა მათი გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას.

66. ამ პირობებში ეს კონკრეტული საქმე სრულებითაც არ განსხვავდება ზემოთ ხსენებული ოჯალანის საქმისგან და სასამართლო ვერ მიიჩნევს, რომ სამხედრო მოსამართლის პროცედურის ფინანსურ ნაწილში შეცვლამ შეძლო, გაეფანგა მოსარჩელის კანონზომიერი ეჭვები სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი.

## ბ. სამართალწარმოების სამართლიანობა

67. სასამართლომ ჩაინიშნა, რომ განმცხადებელი უჩიოდა მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის განმავლობაში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე მრავალგზის უარის თქმასა და დაცვის უფლების ხელყოფას. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ გადაწყვეტილებაში გამოყენებულ იქნა ის აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც, მისი თქმით, პოლიციამ ზეწოლის, წამების გზით, ადგოკატის დაუსწრებლად, დააწერინა; ამასთან, მას უარი უთხრეს გრაფოლოგიური ექსპერტიზის განმეორებით ჩატარებაზეც და არ მიეცა საშუალება, დაეკითხა ან დაეკითხვინებინა ბრალდების მთავარი მოწმე.

68. ამ არგუმენტების ერთობლიობის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა გააგრძელოს აღნიშნული

## საქმე გოჩმანი ოურქეთის წინააღმდეგ

18

უფლებადარღვევის განხილვა, როგორც სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა, უშიშროების სასამართლოს წევრთა სტატუსის საკითხის მიუხედავად. განსაკუთრებით კი იგი აღნიშნავს, სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ მტკიცებულებათა გამოყენებას (ზემოთხესნებული პარაგრაფი 57) (პულკი გუნჯი თურქეთის წინააღმდეგ, №28490/95, § 85, CEDH 2003-VII (ფრაგმენტები)), მით უმეტეს, რომ აღნიშნული საქმის წარმოების დასასრულს მოსარჩევეს მიესაჯა თვრამეტი წელი და ცხრა თვე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ეხება სამართლის ისეთ განსაკუთრებულ ასპექტს, როგორიცაა სამართლიანი სასამართლო განხილვა, რომელიც პირველი ნაწილითაა გარანტირებული, სასამართლო ამ კონკრეტულ საქმეში წამოჭრილ საკითხებს განხილავს ორი ტექსტის კომბინირებული (შეჯერებული) ვარიანტით (იხ. სხვა საქმეებს შორის ფონ მეხელენი და სხვები პოლანდის წინააღმდეგ, 1997 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება, 1997 წლის გადაწყვეტილებათა კრებული, III, გვ.711, §49).

69. მთავრობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვა სამართლიანი იქო. განმცხადებლის დამნაშავეობის დასადგენად სახელმწიფო უშიშროების სასამართლო დაეფუძნა არა მარტო თავად მოსარჩევის აღიარებით ჩვენებასა და განცხადებებს, არამედ სხვა თანაბრალდებულებისასაც, მოსარჩელის დაკავებისას ამოღებულ მტკიცებულებებს, კერძოდ კი ცეცხლსასროლ იარაღსა და პროპაგანდისტული შინაარსის ვიდეოკასეტებს. იგი (მთავრობა) მიიჩნევს, რომ განმცხადებელსა და მის ადვოკატს საშუალება ჰქონდათ, როგორც სახელმწიფო უშიშროების, ასევე საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას, გაეპროტესტებინათ სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმოდგენილი მტკიცებულებებიცა და მის მიერ წინასწარი დაკავების დროს მიცემული ჩვენებები.

70. სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულებათა გამოყენება, პირველ რიგში, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრეროგატივად და, ძირითადად, მართლმსაჯულების შიდასახელმწიფოებრივი ინსტანციების კომპეტენციას განეკუთვნება. ხოლო მისია, რომელსაც მათ კონვენცია აკისებს, შემოიფარგლება იმით, რომ შეაფასონ, მთლიანობაში რამდენად სამართლიანად მოხდა მათი მოპოვება (მათ შორის მტკიცებულებათა წარმოდგენა). (იხ. სხვა საქმეებს შორის ედვარდის დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №247-B, გვ. 34-35, § 34).

## საქმე გონიშნავს თურქეთის წინააღმდეგ

19

სასამართლო ასევე აღნიშნავს რომ, მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს დუმილის უფლებაზე, რომელიც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, ბრალდებულს უფლება აქვს, არ დაეხმაროს საკუთარი ბრალდების დადგენაში ეს ნორმა საყოველთაოდაა აღიარებული და პირდაპირ კავშირშია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ცნებასთან, რომელსაც აღნიშნული მუხლი ეძღვნება. ამ უფლების არსებობა ბრალდებულს იცავს ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და მისდამი იძლევისაგან, თავიდან ააცილებს სამართლებრივი ხასიათის შეცდომებს და სშუალებას იძლევა, მიიღწეს მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიზნები (საქმე ჯონ მურჯი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, კრებული I, § 45, ფუნქ საფრანგეთის წინააღმდეგ, 1993 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია A, №256-A, § 44

71. ამას გარდა, ბრალდებულის უფლება, არ დაეხმაროს მის მიმართ წაყენებული ბრალდების დადგენაში, სისხლის სამართლის საქმეში გულისხმობს, რომ ბრალდების მხარე ცდილობს თავისი პოზიციის დასაბუთებას მოკვლევის შედეგად მოპოვებულ იმ ელემენტებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არ იქნება მიღებული მოსარჩევის ნების საწინააღმდეგოდ და მასზე ზეწოლის გზით (შანონი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, №6563/03, § 32, 2005 წლის 4 ოქტომბერი).

72. სასამართლომ ცნობად მიიღო, აგრეთვე, რომ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით განმცხადებელი, მისი წინასწარი დაკავების თოთხმეტი დღის განმავლობაში, დაიკითხა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა მიერ, შემდეგ ამავე დაკავების რეჟიმში – პროკურორისა და გამომძიებელი მოსამართლის მიერ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მას არ ჰქონია აღვოკატის დახმარების საშუალება, მან მისცა ჩვენებები და გააკეთა განცხადებები, რომელთა მიხედვითაც იგი ბრალს აღიარებდა და რომლებიც მოგვიანებით მის წინააღმდეგ იქნა მტკიცებულებების სახით გამოყენებული, მათვე დაეფუძნა სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს გადაწყვეტილება.

73. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ იმ პირობებით, რომლებშიც განმცხადებელი წინასწარი დაპავების განმავლობაში იმყოფებოდა, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (აქ §57). როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე – იალოში გერმანის წინააღმდეგ,

## საქმე გონიერი თურქეთის წინააღმდეგ

20

№54810/00, § 104, 2006 წლის 11 ივნისი, „სისხლის სამართლის საქმეში კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოყენება მთელი სერიოზულობით აყენებს სამართლიანი სასამართლო განხილვის საკითხს.“

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის კანონმდებლობა დაკითხვების დროს მოპოვებულ და შემდგომში მოსამართლის წინაშე უარყოფილ ჩვენებებს თითქოს არ უნდა ანიჭებდეს არავითარ გადამწყვეტ მნიშვნელობას დაცვის პერსპექტივის თვალსაზრისით (აქ §43, პულკი გუნჯი, §91). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს კომპეტენციას არ განეკუთვნება სისხლის სამართალში მტკიცებულებათა დაშვებადობის საკითხის *in abstracto* განხილვა, იგი, სამწუხაოდ, მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტულ საქმეში სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ ამ საკითხზე თავიდანვე არ გამოთქვა თავისი აზრი, ვიდრე საქმის არსებითად განხილვას შეუდგებოდა. ნათელია, რომ ამგვარი წინასწარი განხილვა, შიდასახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების ინსტანციებს საშუალებას მისცემდა, დაეგმოთ ბრალდების მტკიცებულებათა მოპოვების კანონგარეშე მეთოდები (შეადარეთ პულკი გუნჯი, § 91). სასამართლო აღნიშნავს, რომ დაცვის მხარე საქმის განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში უშედეგოდ აყენებდა უქაქეშ სადაცო ჩვენებების ჭეშმარიტებას (აქ §§15, 36, იხ. ურსი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, №46213/99, § 59, 2006 წლის 20 ივნისი).

74. სხვათა შორის, სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს, თითქოს სადაცო მსჯავრი ეყრდნობოდა მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასამართლოს აუცილებლად არ მიაჩნია, გამოიძიოს, განმცხადებლისადმი დაკისრებული აღმკვეთი ღონისძიება გადამწყვეტი მნიშვნელობით დაეფუძნა თუ არა იმ ჩვენებას, რომელიც მას, თითქოს, პოლიციაში იძულებით დააწერინეს. მისთვის საკმარისია იმის დადგენა, რომ სისხლის სამართლის ინსტანციების მიერ დადგენილი ფაქტები ეფუძნება მოსარჩევის მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ადვოკატის არყოლის პირობებში მიღებულ ჩვენებებს (ურსი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (ზემოთ, § 60)).

75. სასამართლო კვლავ იმ პოზიციაზეა, რომ ამ კონკრეტულ საქმეში შეთავაზებულმა პროცედურულმა გარანტიებმა ვერ უზრუნველყველებას, თავიდან ყოფილიყო აცილებული იმ ჩვენებათა გათვალისწინება, რომლებიც, განმცხადებლის განცხადებით, წამების, ზეწოლის, ადვოკატის არყოფნის პირობებში და საკუთარი ბრალდების არდადასტურების უფლების ხელყოფით

იქნა მოპოვებული. ვინაიდან ვერც საკასაციო სასამართლომ გამოასწორა ეს ნაკლოვანებები, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტული საქმის განხილვის პროცედურით კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული შედეგი ვერ იქნა მიღწეული. აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ დაიოდგა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები.

რაც შეეხება მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სხვა უფლებადარღვევებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ უკვე უპასუხა განმცხადებლის მიმართ ეროვნული სასამართლოების მიერ მიმდინარე საქმის განხილვისას დაშვებულ ძირითად დარღვევებთან დაკავშირებულ კითხვებს. მაშასადამე, იგი თავის ვალად არ მიიჩნევს, განიხილოს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან დაკავშირებული მე-6 მუხლის სხვა დარღვევებიც.

### **გ. საქმის განხილვის პროცედურის ხანგრძლივობა**

77. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის წარმოება დაიწყო 1992 წლის 12 დეკემბერს, მოსარჩელის დაკავებით, და დასრულდა 2000 წლის 28 ნოემბერს, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამგვარად, იგი გაგრძელდა დაახლოებით შვიდ წელსა და თერთმეტ თვეს ორ ინსტანციაში.

78. მთავრობა მიიჩნევს, რომ, ამ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საქმის განხილვის პროცედურის ხანგრძლივობა არაგონივრულად ვერ ჩაითვლება. იგი ხაზს უსვამს საქმის სირთულესა და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ხასიათს, რომლებიც განმცხადებლის ბრალეულობას ადასტურებდნენ. სადაც სისხლის სამართლის საქმის განხილვისათვის საჭირო გახდა ხანგრძლივი და შრომატევადი მოკვლევების ჩატარება; ამას გარდა, ჩატარდა საგალდებულო, დამატებითი მოკვლევები დამატებითი ბრალდების წარდგენის შემდეგ; და ბოლოს, მართლმსაჯულების შიდასახელმწიფო ორგანიზაციების უმოქმედობა და გულგრილობა არცერთ ეტაპზე არ გამოუჩენიათ.

79. განმცხადებელი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

80. საქმის წარმოების პროცედურის ხანგრძლივობის გონივრულობა ფასდება საქმის გარემოებებიდან და სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე კრიტერიუმებით, განსაკუთრებით კი: საქმის სირთულით, განმცხადებლისა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დამოკიდებულებით

## საქმე გონილი თურქეთის წინააღმდეგ

22

(იხ. სხვა საქმეებს შორის პელისი და სასი საფრანგეთის წინააღმდეგ, №25444/94, § 67, CEDH 1999-II).

81. პროცედურის დაჩარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა განმცხადებლისათვის, რადგან მან დროებითი დაკავების საკანზი გაატარა ექვს წელიწადსა და შვიდ თვეზე მეტი, საქმე კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ, № 47095/99, § 132, CEDH 2002-VI).

რასაკვირველია, ის ფაქტი, რომ განმცხადებელი და მისი მრჩეველი რამდენიმე პროცესს არ დაესწრნენ, შესაძლოა, ყოფილიყო პროცედურის შენელების ერთ-ერთი მიზეზი, მაგრამ 1996 წლის 12 აგვისტოდან, ანუ განმცხადებლის მიერ დაცვის არგუმენტების წარდგენის დღიდან 1999 წლის 29 იანვრამდე, ანუ იმ დღემდე, როცა ამ საქმით დაკავებულმა პროკურორმა ბრალდების ნაწილი წარუდგინა სასამართლოს (§§28-35), საქმის განხილვის პროცედურას ამ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი წინსვლა არ ჰქონია. სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიის ზედიზედ მრავალჯერადმა ცვლილებამ და ზოგიერთი მოწმის დასაკითხად დახარჯულმა დრომ მნიშვნელოვანწილად შეაფერხა აღნიშნული პროცედურა.

82. მისდამი წარმოდგენილი ყველა ელემენტის განხილვის შემდეგ და ამ კონკრეტულ სფეროში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტული საქმის განხილვისათვის წარმოებული პროცედურა ზედმეტად იქნა გაწელილი დროში და არ პასუხობს „გონივრული ვადის“ ცნებას.

აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

**V. კონვენციის 41-ე მუხლის დარღვევის  
შესახებ**

**83. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:**

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართლი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

**ა. ზიანი**

84. განმცხადებელი მოითხოვს 150000 ევროს მატერიალური და იმდენსავე თანხას მორალური ზიანის სანაცვლოდ.

85. მთავრობა უარყოფს ამ მოთხოვნას.

86. სასამართლო აღნიშნავს, რომ, მისი დასკვნის მიხედვით, განმცხადებელი გახდა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის მსხვერპლი, იმ პერიოდში, როცა იგი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფებოდა, გარდა ამისა, მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-3-ე ნაწილის “დ” პუნქტით გარანტირებული უფლება.

სასამართლო აღიარებს, რომ, თუმცა არ შეუძლია იდავოს, რა შედეგი დადგებოდა განმცხადებლისათვის, თუ მას მიეცემოდა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებით სარგებლობის საშუალება, გადაჭარბებულად არ მიიჩნევს ვარაუდს, რომ ამ უკანასკნელს წაერთვა რეალური შანსები (იხ. სხვა საქმეებს შორის ჟული გუნჯი, გუნჯი, §100).

ამას ემატება მორალური ზიანი, რომლისთვისაც წინამდებარე გადაწყვეტილებაში დადგენილი უფლებადარღვევების აღიარება არ არის საკმარისი. 41-ე მუხლის თანახმად, სამართლიანი დაკმაყოფილების მიზნით, სასამართლო განმცხადებელს არგუნებს 20000 ევროს, ერთიანად ყველა ზიანის ასანაზღაურებლად.

87. ამასთან, სასამართლოს აზრით, როცა კერძო პირი, როგორც ეს ამ კონკრეტული საქმიდან გამოჩდა, გასამართლდა ისეთი სასამართლოს მიერ, რომელიც ვერ ასრულებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ კონვენციის მოთხოვნებს, მაშინ ახალი სასამართლო განხილვა ან სამართალწარმოების განახლებული პროცედურა, განმცხადებლის მოთხოვნით, ძირითადად იქნებოდა შესაფერისი საშუალება დადგენილი უფლებადარღვევის გამოსწორებისა (ოჯალანის ზემოთ ხევებული საქმე, § 210, *in fine*).

## სასამართლო ხარჯები

88. განმცხადებელი მოითხოვს სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას, რომელიც მან კონვენციის ორგანოებთან ურთიერთობისას გაიღო. განმცხადებელი აღნიშნულ თანხას რიცხობრივად არ გამოსახავს.

89. მთავრობა უარს აცხადებს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

90. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არანაირი დამადასტურებელი საბუთი არ წარმოუდგენია შიდასახელმწიფო ფონგზე და კონვენციის ორგანოთა წინაშე გაღებული ხარჯების დასასაბუთებლად. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან განმცხადებელი მის წინაშე წარმოდგენილი იყო ადვოკატის მიერ (§2), მას უთუოდ მოუხდებოდა გარკვეული ხარჯების გაწევა. საქმის ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს, განმცხადებელს გამოუყოს 2000 ევრო, ხოლო ამ თანხიდან დაეჭვოთოს 715 ევრო, რომელიც მას ევროპის საბჭომ იურიდიული მომსახურებისათვის გამოუყო.

## გ. საურავი

91. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა დაწესდეს ცენტრალური ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი ციფრი

**ზემოთ აღნიშნული მოტივებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:**

1. სარჩელის დარჩენილი ნაწილი არსებითად განსახილველად დასაშვებია;
2. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;
3. დარღვა კონვენციის მე-13 მუხლი;

## საქმე გონილდებულის წინააღმდეგ

25

4. დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რადგან განმცხადებლის საქმე არ განუხილავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს;
5. კომინირებულად დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტი, რადგან განმცხადებლის საქმე არ განუხილავს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს;
6. აღარ კისრულობს, მე-6 მუხლით განიხილოს სამართლიან სამართლალწარმოებასთან დაკავშირებული უფლებადარღვევები;
7. დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, სისხლის სამართლის საქმის სამართლალწარმოების ვადების გამო;
8. ა. მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს ახალ თურქულ ლიკრაზი კონვერტირებული შემდეგი თანხა:
  - ი. 20000 ევრო (ოცი ათასი ევრო) ყველა ზარალისათვის ერთად;
  - იი. 2000 ევრო (ორი ათასი ევრო) სასამართლო ხარჯებისათვის, ამას გამოკლებული 715 ევრო (შვიდას თხუთმეტი ევრო), რომელიც მას ევროპის საბჭომ იურიდიული მომსახურებისათვის გამოუყო.
  - იიი. ნებისმიერი ოდენობის ის თანხა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი თანხისათვის შეიძლება საგადასახადო მოსაკრებლად იყოს დაწესებული.
- ბ. აღნიშნული ვადის გასვლიდან თანხის საბოლოო გადახდამდე ამ თანხას დაემატება ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ სესხებისათვის ამ პერიოდის განმავლობაში დაწესებული ოდენობა, რომელიც არ აღემატება 3 %-ს.
9. სასამართლო უარს ამბობს დამატებითი გადასახადის მოთხოვნის სამართლიან დაკმაყოფილებაზე;

შედგენილია ფრანგულ ენაზე და, შინაგანაწესის 77-ე მუხლის §§2,3-ის შესაბამისად, 2006 წლის 17 ოქტომბერს გადაიგზავნა აღსასრულებლად.

**საქმე გონიერობის თურქეთის წინააღმდეგ**

26

ს. დოლე  
სასამართლოს მდივანი

ქ. ქ. ქოსტა  
თავმჯდომარე